



საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

აქტი

№ 18/00

„14“ მარტი 2010

ქ. თბილისი

დაგტკიცებულია
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის დასკვნით

გიორგი ალასანია
„14“ მარტი 2010 წელი

გვ. N2

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში 2009 წლის
ბიუჯეტის შესრულების ფინანსური აუდიტის შესახებ

სარჩევი

- შესავალი, საქმიანობის მოკლე მიმოხილვა-----გვ3
აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები-----გვ5
ძირითადი ტექსტი-----გვ7
1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა-----გვ7
1.1 წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების
შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების
მდგომარეობა-----გვ7
1.2 დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის
ცალკეული მუხლების მიხედვით-----გვ7
1.3 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო
ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა-----გვ17
1.4 გრანტების (ფულადი და სასაქონლო), ჰუმანიტარული დახმარებების და
საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსავლების მიღების, აღრიცხვის და
გამოყენების მდგომარეობა-----გვ18

1.5 ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშების შედგენისა და წარდგენის კანონიერება-----გვ19

2.ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება)-----გვ19

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები-----გვ22

შესავალი

ფინანსური აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 4 მარტის N20/43 ბრძანება.

აუდიტის ობიექტი - საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო. იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, 0177, მ.თამარაშვილის ქუჩა N15ა. ტელ/(995 32) 311585 ფაქსი/(995 32) 31 15 96

აუდიტის ჯგუფი - უფროსი აუდიტორი: კახაბერ ძიმისტარიშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი), მთავარი აუდიტორი ტრისტან ბენაშვილი, აუდიტორები ანტონ პარუნაშვილი და ნინო ბუხნიკაშვილი.

აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები ჯგუფის წევრების მიერ შესწავლილი იქნა ერთობლივად.

აუდიტის ვადა - 04/03/2010 – 08/04/2010 (დაწყება-დამთავრება).

შემოკლებანი:

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო - სამინისტრო;
 საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი - მინისტრი;
 საქართველოს პარლამენტი - პარლამენტი;
 საქართველოს მთავრობა - მთავრობა;
 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფინანსთა სამინისტრო;
 საქართველოს ფინანსთა მინისტრი - ფინანსთა მინისტრი;
 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური - ხაზინა;
 საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო - შესყიდვების სააგენტო;
 საქართველოს კონტროლის პალატა - კონტროლის პალატა;
 საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ;
 დამატებითი ღირებულების გადასახადი - დღგ.

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

სამინისტრო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად. მისთვის დაკისრებულ ფუნქციებს ასრულებს მთავრობის დადგენილებით¹ დამტკიცებული დებულების საფუძველზე². მას აქვს ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით,

¹ N34 დადგენილება (22.02.2008)

² შეტანილია ცვლილებები N224 (19.11.2008), N140 (31.07.2009) და N18 (27.01.2010) დადგენილებებით

დასრულებული ბალანსი, ხარჯთაღრიცხვა და სათანადო ანგარიშები სახელმწიფო ხაზინაში.

აუდიტის პერიოდში სამინისტროს სისტემაში შედიოდა 4 (ოთხი) ტერიტორიული ორგანო და 1 (ერთი) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა თემის განვითარების ცენტრი“.

სამინისტროს ფუნქციები და ამოცანები:

საქართველოში მიგრაციული პროცესების მართვის სახელმწიფოებრივი სისტემის ჩამოყალიბება და ამ სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთშეთანხმებული საქმიანობა; ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით ლტოლვილთა, თავშესაფრის მაძიებელთა, დევნილთა, რეპატრიანტთა, საგანგებო სიტუაციებით (სტიქიური უბედურებები, ეპიდემია და სხვ.) გამოწვეული მიგრაციული ნაკადის რეგულირება, მათი დროებითი ან მუდმივი განსახლების ორგანიზება, ადაპტაცია-ინტეგრაციისათვის პირობების შექმნა და სოციალური დაცვა; მიგრანტთა კატეგორიების დადგენა; ლტოლვილთა, დევნილთა და დროებით ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნების ორგანიზება და ხელშეწყობა, სათანადო სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნა; მიგრაციული ნაკადის აღრიცხვა, მართვა და კონტროლი; დროებით ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დაცვა თავისი კომპეტენციის ფარგლებში; საერთაშორისო (სამთავრობო და არასამთავრობო) ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და ა.შ.

აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

➤ ქვეყნის შიგნით მივლინებაში ყოფნისას სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ საცხოვრებელი ფართის დაქირავების შემთხვევებში, არ დასტურდება გამქირავებელი ფიზიკური პირების მხრიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების განხორციელება. პროგრამული შერჩევით აღდირებული დოკუმენტებიდან (საერთო მოცულობის 15%) გამომდინარე აღნიშნულმა თანხამ შეადგინა 15 845 ლარი, საიდანაც საშემოსავლო გადასახადის სახით ბიუჯეტს უნდა მიეღო 1 901,4 ლარი (12%). დადგინდა, რომ სამინისტროს საფინანსო დეპარტამენტს აღნიშნულზე შესაბამისი საგადასახადო სამსახურებისათვის დაგზავნილი აქვს შეტყობინებები. შედეგი სამინისტროსათვის ცნობილი არ არის.....გვ.10;

➤ დევნილების ორგანიზებულად განსახლების ობიექტების ე.წ. ადმინისტრაციის ხარჯის შესყიდვაზე გაწეულია 821,7 ათასი ლარის, ხოლო ამ ობიექტებზე ასინიზაციასა და დეზინფექცია-დერატიზაციაზე 375,6 ათასი ლარის ხარჯები (სულ, 1 197,3 ათასი ლარი). ადმინისტრაციის ხარჯის შესყიდვის ხელშეკრულებებში არ არის განსაზღვრული შესყიდვის საგანი და მისი არსი, ასინიზაციის, დეზინფექცია-დერატიზაციის სამუშაოების ანაზღაურება ხორციელდება მომწოდებლების მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებებისა და ანგარიშების საფუძველზე. ჩამოთვლილი სამუშაოების რეალობა, ხარისხი და სიხშირე არ კონტროლდება სამინისტროს მხრიდან და არ ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები.....გვ.11;

➤ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დადებული ხელშეკრულებების პირობების შესრულების მონიტორინგი არ ხორციელდება ჯეროვნად, რაც იწვევდა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების დარღვევას.....გვ.14;

➤ ხშირია ვალდებულებების აღება მიმდინარე პერიოდის რესურსის არარსებობის შემთხვევაში. მათი ხაზინაში რეგისტრაცია ხდება მომდევნო კვარტალში ან/და შესაბამისი გადანაწილების განხორციელების შემდეგ. აღნიშნული გამოწვეულია დაუგეგმავი, სასწრაფო შესყიდვების განხორციელების აუცილებლობით. ზოგიერთ შემთხვევაში კი ხელშეკრულებების დადება ხდება საქონლისა და მომსახურების მიღების შემდგომ. ამდენად, ხელშეკრულების პირობების შესრულება მომწოდებლების მიერ ხორციელდება დაუდებული ან დაურეგისტრირებული ხელშეკრულებების პირობებში.....გვ.14;

➤ დევნილთა დახმარების ფონდის სიმცირის გამო, ერთჯერადი შემწეობების მთხოვნელთაგან დაკმაყოფილებულია შემოსული განცხადებების 42,8%. არ არის შემუშავებული დახმარების გაცემის პირობები და წესი.....გვ.15;

➤ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხიდან 5 588,60 ლარზე, სამინისტროს მხრიდან ადგილი ჰქონდა წინასწარ გადახდას, რაც არ განხორციელებულა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტის მოთხოვნათა დაცვით.....გვ.17;

➤ მთავრობის განკარგულების შესაბამისად, დევნილების საწვავი შეშით უზრუნველსაყოფად 2009 წლის ნოემბერ-დეკემბერში გაწეულია 520,3 ათასი ლარის ხარჯი (მ.შ. 205,3 ათასი ლარი წარმოადგენს სამინისტროს ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებას). ბენეფიციარებისათვის მისი გადაცემის დოკუმენტებში არ ფიქსირდება საწვავი შეშის მოცულობები და ღირებულებები.....გვ.18;

➤ მიუხედავად 2008 წელს გატარებული ღონისძიებებისა, სამინისტრო ორგანიზაციულ ჭრილში არ ფლობს ინფორმაციას 3 921 731 ლარის ოდენობის კრედიტორული დავალიანების შესახებ.....გვ.20;

➤ სამინისტროს სისტემაში არსებობს აღურიცხავი და გაუშიფრავი ვალდებულებები, არ არის ჩატარებული ვალდებულებების სრულყოფილი ინვენტარიზაციები, რაც იწვევს ფინანსური ანგარიშგების არსებით უზუსტობას.....გვ.20.

ძირითადი ტექსტი

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა

აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება

1.1 წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა

სამინისტროს საბიუჯეტო განაცხადის თანდართული განმარტებითი ბარათი შედგენილია ძირითადი მიზნების მიხედვით, რომელშიც სათანადოდ არის დასაბუთებული გასაწევი ხარჯების აუცილებლობა.

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სამინისტროსათვის დამტკიცებული ასიგნება განისაზღვრა **46 350,0** ათასი ლარის ოდენობით. კანონში შეტანილი 2 ცვლილებით ასიგნება გაიზარდა **62 980,2** ათას ლარამდე³, საბოლოოდ **65 217,5** ათას ლარამდე⁴, ხოლო დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა **69 185,6** ათასი ლარი.

2009 წელი			ათასი ლარი
სამინისტრო	საბიუჯეტო განაცხადი	დამტკიცებული ბიუჯეტი	დაზუსტებული ბიუჯეტი
ხარჯები	28 588,0	46 115,5	50 004,5
არაფინანსური აქტივების ზრდა	1 412,0	19 102,0	18 901,0
ვალდებულებების კლება	-	-	-
სულ	30 000,0	65 217,5	69 185,6

წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობების მიხედვით ასიგნებაში კვარტლებს, მუხლებსა და კოდებს შორის განხორციელებულია 19 ცვლილება (გადანაწილება). გადანაწილებებზე მოთხოვნებს თან ერთვის სათანადო წერილობითი არგუმენტაციები. კვარტალურ გადანაწილებას ადგილი ჰქონდა 3 შემთხვევაში, თანხით **2 320,8** ათასი ლარი, ხოლო კოდებსა და მუხლებს შორის 16 შემთხვევაში, თანხით **5 042,8** ათასი ლარი და შეადგინა დამტკიცებული ასიგნების 7,73%, რაც შესაბამისობაშია დადგენილ ფარგლებთან⁵ (10%).

1.2 დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით

სამინისტროს საბიუჯეტო განაცხადი ეფუძნება სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების გაანგარიშებებსა და პრიორიტეტების მიხედვით მოთხოვნილი თანხების დასაბუთებებს.

სამინისტროს პრიორიტეტები საანგარიშო პერიოდში:

³ N1410რს კანონი (11.07.2009)

⁴ N2229რს კანონი (04.12.2009)

⁵ „საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონი

პრიორიტეტი I	პირობების შექმნა დევნილთა ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნებისათვის
პრიორიტეტი II	დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება
პრიორიტეტი III	მიგრაციული პროცესების მიმართ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება
პროგრამა	ეკომიგრანტთა განსახლებისათვის აუცილებელი საცხოვრებელი ფართების მოძიება და შეძენა

2009 წლის საბიუჯეტო პარამეტრები, გაწეული საკასო და ფაქტობრივი ხარჯები:

2009 წელი	ათასი ლარი				
დასახელება	გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი
სამინისტრო	69 185,6	67 151,9	66 776,0	66 697,6	49 375,3
ხარჯები	50 004,5	48 594,2	48 218,3	48 218,3	49 375,3
არაფინანსური აქტივების ზრდა	18 901,0	18 277,6	18 277,6	18 199,2	
ვალდებულებების კლება	280,1	280,1	280,1	280,1	

გადახდასა და მოთხოვნას შორის სხვაობა შეადგენს 78,4 ათას ლარს და მიეკუთვნება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში თანადაფინანსების სახით გადასახდელი დღგ - ს თანხას, რამაც, შესაბამისად, გამოიწვია კრედიტორული დავალიანების წარმოშობა⁶.

ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის არსებული 17 322,3 ათასი ლარის ოდენობის სხვაობა გამოწვეულია არაფინანსური აქტივების ზრდით, ვალდებულებების კლებით, დებიტორული დავალიანებებისა და მატერიალური მარაგების ფაქტობრივ ხარჯში ასახვით.

საბიუჯეტო პარამეტრები, გაწეული საკასო და ფაქტობრივი ხარჯები ორგანიზაციული კოდების მიხედვით:

2009 წელი	ათასი ლარი				
ორგანიზაციული კოდი	გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი
34 01	5 657,7	5 558,5	5 538,2	5 538,2	5 572,5
34 02	411,7	405,8	405,8	405,8	430,7
34 04	23 160,8	22 567,3	22 215,0	22 215,0	22 935,5
34 05	1 054,9	1 054,9	1 054,4	1 054,4	1 054,4
34 06	20 550,5	20 219,3	20 219,2	20 219,2	18 705,5
34 07	202,3	199,6	198,2	198,2	204,3
34 09	173,1	172,8	171,6	171,6	166,7
34 11	30,0	-	-	-	-
34 12	17 944,5	16 973,6	16 973,6	16 895,2	305,7

საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული ბუჯეტი შეადგენს გასული წლის ბიუჯეტის 61%-ს და მასზე 56 556,5 ათასი ლარით ნაკლებია, რისი ძირითადი მიზეზია 2009 წლიდან 34 03 ორგანიზაციული კოდის⁷ გაუქმება.

სამინისტროს სახაზინო ორგანიზაციულ კოდზე 34 11⁸ დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებას შორის სხვაობა აღმატება 30%-ს, რაც გამოწვეული იყო დამტკიცებულ გეგმაში განხორციელებული ცვლილებებით⁹, რის შედეგადაც 450,0 ათასი ლარი მიმართული იქნა დღგ-ს დასაფინანსებლად, ხოლო 20,0 ათასი ლარი მიიმართა შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე. დარჩენილი 30,0 ათასი ლარი დარჩა

⁶ დეტალურად იხ. ქვემოთ


⁷ ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობები

⁸ „დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის ხარჯები“

⁹ ხარჯთაღრიცხვის ცნობები N254 და N268

აუთვისებელი, რისი მიზეზიც გახდა 34 04¹⁰ და სხვა ზემოაღნიშნულ კოდებში გამოცხადებული ტენდერის ეკონომიის გამოწვევით დასრულება და რესურსის წარმოქმნა, რისი ათვისებაც ვერ მოხერხდა წლის ბოლოსათვის.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით საკასო შესრულება მთლიან გადახდებთან შეფარდებით:



„შრომის ანაზღაურება“
თანამდებობრივი სარგო
პრემია

გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა
1 781,5	1 781,0	0,5
783,4	783,4	0
2 564,9	2 564,4	0,5

გაწეული 2 564,9 ათასი ლარის ხარჯიდან, თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1 781,5 ათას ლარს, პრემია - 783,4 ათას ლარს. (უმაღლესი ხელფასი -3 540 ლარი, უმცირესი ხელფასი - 400 ლარი. შტატიტ მომუშავეთა რიცხოვნობა - 153). სხვაობა 0,5 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს ზედმეტად გადახდილ და დასაბრუნებელ შრომის ანაზღაურების თანხას (დებიტორული დავალიანება).

2009 წელი	ათასი ლარი		
	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა
საქონელი და მომსახურება			
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	1 956,1	2 004,6	48,4
მივლინებები	230,0	230,0	0
ოფისის ხარჯები	19 159,7	19 110,9	-48,7
წარმომადგენლობითი ხარჯები	45,4	45,4	0
სამედიცინო ხარჯები	42,9	42,9	0
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯები	6,7	6,7	0
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა დამოვლა-შენახვის ხარჯები	614,0	541,5	-72,5
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	1 961,1	1 873,5	-87,6
სულ	24 015,9	23 855,5	-160,4

შენიშვნა I - მივლინების ხარჯები.

¹⁰ „ლტოლვილთა და დევნილთა შენახვის ხარჯები ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებზე“

ვლინდება ქვეყნის შიგნით მივლინებაში მყოფი მოსამსახურეების მიერ გაწეული ხარჯების დამადასტურებელ დოკუმენტებად ერთსა და იმავე თანხებზე, იდენტურ ფიზიკურ პირებთან ხელშეკრულებების დადებისა და თანხის გადაცემის შესახებ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების წარმოდგენის ტენდენცია. ეს აქტები დამოწმებულია სხვადასხვა მუნიციპალიტეტების რწმუნებულების ბეჭდებითა და ხელმოწერებით.

პროგრამული შერჩევის შედეგად აუდირებული სამივლინებო დოკუმენტაციის (15%) თანახმად, საცხოვრებელი ფართის დაქირავებაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 15 845 ლარი. არცერთ მიღება-ჩაბარების აქტს არ ახლავს გამქირავებლის მიერ საშემოსავლო გადასახადის გადახდის დოკუმენტი. საშემოსავლო გადასახადის სახით სახელმწიფო ბიუჯეტს უნდა მიეღო 1 901,4 ლარი (12%). დადგინდა, რომ სამინისტროს საფინანსო დეპარტამენტს, თავის მხრივ, მოხდენილი აქვს რეაგირება და შესაბამისი საგადასახადო სამსახურებისათვის აღნიშნულთან დაკავშირებით გაგზავნილი აქვს შეტყობინებები. შედეგი სამინისტროსათვის ცნობილი არ არის.

8 შემთხვევაში მივლინებული მოსამსახურეების მიერ ხარჯების გაწევის დოკუმენტაცია წარმოდგენილია დაგვიანებით, რამაც გამოიწვია დამოწმების დოკუმენტების ხაზინაში დაგვიანებით წარდგენა.

ქვეყნის გარეთ მივლინებებზე გაწეული ხარჯი შეადგენს 127,5 ათას ლარს. აქედან, 6,9 ათასი ლარი გახარჯულია გრანტიდან.



„წარმომადგენლობითი ხარჯების“ ქვემუხლში აპარატისათვის გაწეული ხარჯები: რესტორნის მომსახურების ხარჯი - 10,5 ათასი ლარი (3,8 ათასი ლარი - ბიუჯეტი, 6,7 ათასი ლარი გრანტი), სუვენირების შეძენის ხარჯი - 9,8 ათასი ლარი (5,8 და 4,0 ათასი ლარი), სტუმრების მიღების ხარჯი - 4,2 ათასი ლარი (ბიუჯეტი), ადმინისტრაციისათვის გაწეული ხარჯი - 3,3 ათასი ლარი (2,0 და 1,3 ათასი ლარი). სულ, 27,8 ათასი ლარი (15,8 და 12,0 ათასი ლარი).

„ოფისის ხარჯის“ ქვემუხლში 48,7 ათასი ლარის ოდენობის სხვაობა წარმოადგენს საანგარიშო და წინა წელს შეძენილი მატერიალური მარაგების ღირებულებისა და 2009 წლის ბოლოს წარმოშობილი დებიტორული დავალიანების ნაშთს. აღნიშნული მუხლი მოიცავს დევენილებისათვის ელექტროენერგიის, სასმელი წყლისა და სხვა კომუნალურ ხარჯებს.

სამინისტროს აპარატისათვის გაწეული ხარჯი:

2009 წელი	ათასი ლარი
კავშირგაბმულობა	224,1
ინტერნეტ მომსახურება	29,1
საკაბელო ტელევიზიის ხარჯი	4,5
საფოსტო მომსახურება	3,9
კომუნალური ხარჯი	137,1
საკანცელარიო საქონელი	36,8
სამეურნეო საქონელი	36,8

კომპ/ტექნიკის მარაგ-ნაწილების შეძენა/შეკეთება	28,5
მობილობის შეძენა/შეკეთება	2,9
ადმინ/შენობის მიმდინარე რემონტი	24,2
მცირეფასიანი ინვენტარის შეძენა	5,1
ბეჭდვითი მომსახურება	3,7
კომპ/პროგრამის განახლება	9,1
სულ	545,8

შენიშვნა II - დევნილთა შენახვის ხარჯები

სამინისტროს გააჩნია რეგისტრირებულ დევნილთა ერთიანი ბაზა. თითოეული დევნილი რეგისტრირებულია კონკრეტულ საცხოვრებელ ადგილზე, როგორც ორგანიზებული განსახლების ობიექტებზე, ასევე კერძო საცხოვრებელ სექტორში. წარმოდგენილი ცნობის თანახმად, 2009 წლის ბოლოსათვის მათი რიცხვი შეადგენდა 247 448 პირს. მათგან 110 280 განთავსებული იყო ორგანიზებულად განსახლების ობიექტებზე, ხოლო 137 168 ცხოვრობდა კერძო სექტორში.

სამინისტრო, ორგანიზებულად განსახლების ობიექტებზე ჩასახლებულ თითოეულ, 2008 წლის საომარ მოვლენებამდე დევნილის სტატუსით მყოფ პირს, უნაზღაურებს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს: ქ.თბილისში 13,48 და სხვა რეგიონებში 12,98 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, ორგანიზებულად განსახლების ობიექტებისათვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებებით დადგენილია 5 ლარის ოდენობის გადასახდელი, რომელიც მოიცავს ადმინისტრაციის შენახვის ხარჯებს - 2 ლარი, სასმელი წყლის საფასურს - არაუმეტეს 2,40 ლარისა, ნარჩენების გატანის საფასურს - არაუმეტეს 0,45 ლარისა და დეზინფექცია-დერატიზაციის საფასურს - არაუმეტეს 0,15 ლარისა.

გადასახდელის სახით გასაწევი ხარჯები:

1 იმულებით გადაადგილებული პირი		ლარი	
ხარჯი	1 თვე	12 თვე	
ორგ.განსახლების ობიექტის ადმინისტრაციის ხარჯი	2	24	
ელექტროენერგია	12,98-13,48	155,76-161,76	
მოხმარებული წყლის საფასური	2,40	28,8	
ნარჩენების გატანის საფასური	0,45	5,4	
დეზინფექცია-დერატიზაცია	0,15	1,8	
სულ	17,98-18,48	215,76-221,76	

კერძო სექტორში განსახლებული დევნილებისათვის სამინისტროს ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული რაიმე სახის ხარჯები. ამ კატეგორიის დევნილები სახელმწიფოს მიერ დაწესებული შემწეობის სახით ყოველთვიურად ღებულობენ 28 ლარს, ხოლო ორგანიზებულად განსახლებული დევნილები ღებულობენ 22 ლარს. აღნიშნული თანხების გაცემა არ შედის სამინისტროს ფუნქციამში (2009 წლამდე ორგანიზაციული კოდით 34 03 გასცემდა სამინისტრო, 2009 წლის 1 იანვრიდან აღნიშნულ გასაცემებს გასცემს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო).

ამდენად, სახელმწიფოს 2009 წელს ერთ თვეში, სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებლად, ერთი დევნილის შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფის ხარჯს ყოველთვიურ შემწეობასთან ერთად უნდა შეედგინა 28-40,48 ლარი (კერძო სექტორში და ორგანიზებულად განსახლებული იმულებით გადაადგილებული პირები). უშუალოდ სამინისტროს ხარჯი 17,98-18,48 ლარს შეადგენს, რაც წელიწადში 215,76-221,76 ლარია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის საომარი მოქმედებების შედეგად დევნილობაში მყოფ პირებს, სამინისტრო ასევე უნაზღაურებდა ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის საფასურს. ელექტროენერგიის ტარიფი 12,98 ლარის ოდენობით დადგენილი იყო მთავრობის განკარგულებით¹¹, მაგრამ ასევე მთავრობის განკარგულებით¹² დამატებით გამოიყო 609,2 ათასი ლარი და სამინისტროს დაევალა სს „თელასის“ მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი დანახარჯის ანაზღაურება.

გაწეული ხარჯები:

2009 წელი ხარჯი	ათასი ლარი		სულ
	ორგანიზაციული კოდი 34 04	ორგანიზაციული კოდი 34 06	
ელექტროენერგია	15 602,2	4 822,3	20 424,5
წყალი	2 019,9	334,3	2 354,2
ბუნებრივი აირი	755,8	2 143,0	2898,8
ადმინისტრაციის ხარჯი	821,7	-	821,7
ასინიზაცია/დერატიზაცია	375,6	-	375,6
სულ			26 874,8

ერთჯერადი შემწეობის თანხების ჩათვლით, (799,4 ათასი ლარი), დევნილებზე გაწეული პირდაპირი ხარჯი შეადგენს 27 674,8 ათას ლარს. ამდენად, ერთ ორგანიზებულად განსახლებულ დევნილზე გადაანგრძელებით, სამინისტროს მიერ წლის განმავლობაში გაწეული ხარჯი საშუალოდ შეადგენდა 250 ლარს.

ადმინისტრაციის ხარჯი (2 ლარი) გადაიხდებოდა მხოლოდ იმ ობიექტებისათვის, რომლებთანაც დადებულია შესაბამისი ხელშეკრულება და მათი რიცხვი შეადგენს 124 ერთეულს. ხელშეკრულების საგანია ადმინისტრაციის ხარჯის შესყიდვა, რაზედაც კონტრაქტორი იღებს ვალდებულობას შემსყიდველს დროულად მიაწოდოს სათანადო ხარისხის მომსახურება, მაგრამ არ არის განსაზღვრული ამ მომსახურების არსი და გაიწევა თუ არა იგი, რამდენადაც არ ხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენა. გაწეული ხარჯი შეადგენს 821,7 ათას ლარს.

ნარჩენების გატანის, ასინიზაციის, საკანალიზაციო და დეზინფექცია-დერატიზაციის სამუშაოებზე გადახდის (წლიური 375,6 ათასი ლარი) საფუძველად სამინისტრო იღებს კონტრაქტორების ანგარიშებსა და სასაქონლო ზედნადებებს, რომლებიც სამინისტროს მხრიდან ედრება საანგარიშო თვეში განსახლების ადგილზე რეგისტრირებულ დევნილთა რაოდენობას და ანაზღაურდება სიითი მონაცემების მიხედვით, ხოლო ამ სამუშაოების ინტენსივობისა და რეალურად ჩატარების მონიტორინგი, ასევე მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება არ ხორციელდება, მინისტრის შესაბამის ბრძანებაში და არცერთ ხელშეკრულებაში არ არის გათვალისწინებული კონტროლისა და სამუშაოების მიღების წესი და ამ წესის განმახორციელებელ პირთა ჯგუფი (მაგალითად, ტერიტორიული ორგანო, ინსპექტირების ჯგუფი და ა.შ).

დევნილთა ჩასახლების ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გახარჯულია 825 679 ლარი, დეფექტური აქტების მომზადებაზე - 37 902, საექსპერტო მომსახურებაზე - 50 984 ლარი, საცხოვრებელი ფართების აზომვით სამუშაოებზე - 269 916 ლარი.

¹¹ განკარგულება N1005 (22.12.2009)

¹² განკარგულება N1038 (29.12.2009)

შენიშვნა III - სახელმწიფო შესყიდვები

• სამინისტროსა და სს «გაერთიანებულ ტელეკომს» შორის დადებული ხელშეკრულების¹³, რომლის მოქმედების ვადაც იწურებოდა საანგარიშო წლის ბოლოს, ღირებულება შეადგენდა 25,0 ათას ლარს. წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით სახელშეკრულებო ღირებულების ათვისება და დამატებით 1,3 ათასი ლარის ხარჯის გაწევა მოხდა სამ თვეში. შესყიდვების გეგმასა და ხელშეკრულებაში კორექტირებების შეტანის გარეშე, 2009 წლის 1 ოქტომბრამდე მომწოდებლის მიერ გაგრძელებულია მომსახურების გაწევა, რისმა საფასურმაც შეადგინა 36,0 ათასი ლარი, ამდენად, დაუგეგმავმა შესყიდვამ, მიუხედავად ობიექტური მიზეზებისა, შეადგინა 37,3 ათასი ლარი. სულ, ჯამმა შეადგინა 77,3 ათასი ლარი, საიდანაც 1,8 ათასი ლარის ხარჯი არ ასახულა ანგარიშგებაში და შესყიდვების სააგენტოში იმავე თვის კორექტირებულ გეგმაში ამ შესყიდვის ღირებულებად დაფიქსირებულია მხოლოდ 41,1 ათასი ლარი¹⁴.

• სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დადებული ხელშეკრულებების ინსპექტირების პირობები¹⁵ ითვალისწინებდა სამუშაოების ეტაპობრივი და მთლიანი შესრულების ექსპერტიზას, მაგრამ რიგ შემთხვევებში ეტაპობრივ სამუშაოებზე ექსპერტიზა არ ჩატარებულა.

• არის შემთხვევებში, როდესაც მომწოდებლებთან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების შემდეგ ანგარიშსწორება ხორციელდება ხელშეკრულებებით დადგენილი ვადების დაგვიანებით. აღნიშნული გამოწვეულია საფინანსო დეპარტამენტში შესაბამისი დოკუმენტაციის დაგვიანებით წარდგენით, რაც მიუთითებს სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული მუშაობის გაუმჯობესების აუცილებლობაზე. დაგვიანებული ანგარიშსწორება ქმნის შესაძლებლობას, რომ მომწოდებლების მიერ გამოყენებული იქნეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს საბიუჯეტო თანხების დამატებით ხარჯვა;

• ხშირია შემთხვევები, როდესაც ფინანსური რესურსის არარსებობის პირობებში ფორმდება ხელშეკრულებება, ხოლო მათი ხაზინაში ვალდებულებად დარეგისტრირება ხორციელდება მომდევნო კვარტალში ან/და შესაბამისი გადანაწილების განხორციელების შემდეგ. მიღებული განმარტებებით აღნიშნული გამოწვეულია დაუგეგმავი, სასწრაფო შესყიდვების განხორციელების აუცილებლობით.

სამინისტროს ხარჯების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ეკომიგრანტებისათვის საცხოვრებელი სახლების შეძენა. 2009 წელს ამ მიმართულებით გახარჯულია 1 078,1 ათასი ლარი და შეძენილია 127 საცხოვრებელი სახლი.

„ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების“ ქვემუხლში გადახდამ შეადგინა 614,0 ათასი ლარი, ფაქტობრივმა ხარჯმა - 541,5 ათასი ლარი. 72,5 ათასი ლარის ოდენობის სხვაობა წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში შეძენილი საწვავის ტალონების ღირებულებისა და დებიტორული დავალიანების ჯამს;

¹³ N2288/32 (24.02.2009)

¹⁴ დარღვეულია «სახელმწიფო შესყიდვების შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი და ფინანსთა მინისტრის N1321 ბრძანებით (28.12.2007) დამტკიცებული «ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ» ინსტრუქციის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი;

¹⁵ პუნქტი 14.3

სამინისტროს პერსონალური და სამსახურებრივი ავტომაქანების ტექნიკური მომსახურების წლიური ხარჯები, ასევე საწვავით უზრუნველყოფა განისაზღვრებოდა მინისტრის ბრძანებებით. ამავდროულად, საწვავით უზრუნველყოფა ხორციელდებოდა მინისტრის ბრძანებებით მივლინებების შესახებ.

სამინისტროს ბალანსზე ირიცხება 27 ავტოსატრანსპორტო საშუალება. აქედან, 21 ირიცხება ცენტრალურ აპარატს, ტერიტორიულ ორგანოებს -5, ბალანსგარეშე ანგარიშზე - 1. უშუალოდ სამინისტროს აპარატის ავტოსატრანსპორტო საშუალებების საწვავ-საპოხ მასალებზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი შეადგენს 259,7 ათას ლარს, რემონტისა და სხვა ხარჯების -109,6 ათას ლარს. სულ 369,3 ათასი ლარი. გადახდა განისაზღვრა 359,4 ათასი ლარის ოდენობით. რაც შეეხება 254,6 ათას ლარს, იგი მოხმარდა დევნილთა საწვავი შეშით უზრუნველყოფისათვის საჭირო ტრანსპორტის ხარჯებს.

„სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ ქვემუხლში 87,6 ათასი ლარის ოდენობის სხვაობა წარმოადგენს ცენტრალური აპარატის საჭიროებისათვის შეძენილი სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების ნაშთად რიცხული მარაგების ღირებულებისა და დებიტორული დავალიანების ჯამს.

სოციალური უზრუნველყოფა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა
სოციალური დახმარება			
ფულადი ფორმით	12 514,3	12 514,3	0
დამქირავებლის მიერ გაწეული			
სოციალური დახმარება	14,4	14,4	0
	-----	-----	
	12 528,6	12 528,6	0

შენიშვნა IV - ყოველწლიური ერთჯერადი ფულადი შემწეობა

საკითხი რეგულირდება მთავრობის დადგენილებით¹⁶. ამ დადგენილების პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის მოითხოვდა სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული დევნილთა დახმარების ფონდიდან დახმარების გაცემის პირობებისა და წესის შემუშავებასა და დამტკიცებას, თუმცა ნორმატიული აქტის მოთხოვნა არ არის შესრულებული.

სამინისტრო, დაფინანსების ფარგლებში, ერთ დევნილზე, მისი განცხადების საფუძველზე ყოველ წელს ერთჯერადად გასცემს ფულად შემწეობებს. განცხადებების უმრავლესობა შეიცავს თხოვნას სხვადასხვა დაავადებების მკურნალობისათვის ფულადი შემწეობის გამოყოფის თაობაზე. განცხადებებს განიხილავს კომისია, რომელიც შექმნილი იყო მინისტრის შესაბამისი ბრძანებებით¹⁷. დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი. ყოველ დაკმაყოფილებულ განცხადებას თან ერთვის კომისიის დასკვნა. ამის შემდეგ კომისიის

¹⁶ „ლოტოვილთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა რეგისტრაციისა და სოციალური საკითხების, სახელმწიფო ფულადი შემწეობის, ჰუმანიტარული და სხვა სახის დახმარების გაცემის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ N157 (12.09.2005) დადგენილება, შეტანილია ცვლილება - N190 (18.10.2006) დადგენილებით.

¹⁷ N142 ბრძანება (31.12.2008) „ერთჯერადი ფულადი შემწეობის გაცემის საკითხების შემსწავლელი დროებითი კომისიის შექმნისა და მისი მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ“ და N81 ბრძანება (20.07.2009) „ერთჯერადი ფულადი შემწეობის გაცემის საკითხების შემსწავლელი კომისიის, კომისიის სამდივნოს შექმნისა და მისი მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ“.

თავმჯდომარე მოხსენებითი ბარათით მიმართავს მინისტრს შესაბამისი ჯამური თანხის გამოყოფის თაობაზე, რაზედაც ეს უკანასკნელი გამოსცემს ბრძანებას. გამოყოფილი თანხა ირიცხება სს „საქართველოს სახალხო ბანკში“ დევენილთათვის საკრედიტო ბარათებზე განსათავსებლად.

განცხადებების დაუკმაყოფილებლობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს დაფინანსების უკმარისობა. დაუკმაყოფილებელ განცხადებებზე ბენეფიციარებს არ მიეწოდებათ სათანადო განმარტება და ამავდროულად ხდება ახალი განცხადებების რეგისტრაცია და განხილვა.

აღნიშნულ საკითხზე სამინისტრო არ აწარმოებს საქმიანობას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კოორდინირებულად, რათა გამოირიცხოს ერთი და იგივე განმცხადებლის იმავე მიზნით სხვა წყაროდან (სახელმწიფო პროგრამიდან, სადაზღვევო პოლისით და ა.შ.) დაფინანსება.

ერთჯერადი ფულადი შემწეობის მოთხოვნით სამინისტროში 2009 წელს რეგისტრირებული იყო 5324 განცხადება, საიდანაც დაკმაყოფილებულია 2281 მათგანი (42,8%) ჯამური ოდენობით 799 425,65 ლარი, ანუ თითოეული საშუალოდ 350,5 ლარის ოდენობით. საბანკო და საფოსტო მომსახურების ხარჯმა შეადგინა 237,3 ათასი ლარი.

კომპენსაციები

მთავრობის შესაბამისი განკარგულებების¹⁸ საფუძველზე გამოიყოფა თანხები. მუნიციპალიტეტები სამინისტროში წარადგენენ კომპენსაციებს დაქვემდებარებული ოჯახების ნუსხას, რომელიც დასაზუსტებლად ეგზავნება სამოქალაქო რეესტრს. ამის შემდეგ, ოჯახის წევრთა ნოტარიული წესით დამოწმებული თანხმობის შემთხვევაში, ოჯახზე გაიცემა თანხა 10 000 აშშ დოლარის ექვივალენტის ოდენობით ეროვნულ ვალუტაში. სულ კომპენსაცია მიღებული აქვს 697 ოჯახს.

სუბსიდიები	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა
	26,5	26,5	0
	26,5	26,5	0

სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ ანხორციელებს იძულებით გადაადგილებულ პირთა თემის განვითარების პროექტს (34 12 02). სუბსიდიის მუხლში დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 38,0, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში 40,0 ათას ლარს. სუბსიდიის სრულად ათვისება აღნიშნულმა სუბიექტმა ვერ უზრუნველყო. არაფინანსური ზრდის მუხლში გადახდა არ მომხდარა. მიღებული განმარტებით აღნიშნული გამოწვეულია მსოფლიო ბანკის მიერ ამ პროექტის ფარგლებში 2009 წლის შესყიდვების გეგმის წლის ბოლოს დამტკიცებით.

სხვა ხარჯები	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა
მიმდინარე	7 203,3	7 288,8	85,5
კაპიტალური	1 879,1	2 756,3	877,2
	9 082,4	10 045,1	962,7

¹⁸ N127 (19.02.2009) და N534 (24.07.2009)

„სხვა ხარჯების მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებში“ 85,5 და 877,2 ათასი ლარის ოდენობის სხვაობები გამოწვეულია წინა წლის დებიტორული დავალიანებების ფაქტობრივ ხარჯში ასახვით;

არაფინანსური აქტივების ზრდა - გადახდამ შეადგინა 18 199,2 ათასი ლარი.

ვალდებულებების კლება - 280,1 ათასი ლარი.

1.3 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა

აუდიტის პერიოდში სამინისტროს მიერ მთავრობის ფონდიდან მიღებული თანხები:

2009 წელი				ათასი ლარი
საფუძველი	გამოყოფილი თანხა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	შენიშვნა
N73, 10.02.09	300,0	300,0	300,0	
N527, 24.07.09	17,6	17,6	17,6	
N742, 09.10.09	315,0	315,0	315,0	ცვლ. 911,24.11.09
N747, 09.10.09	50,0	41,1	41,1	ცვლ. N880, 18.11.09
N771, 22.10.09	2 676,2	1 566,6	1 566,6	ცვლ. 5840, 11.11.09
N1038, 29.12.09	609,2	609,2	609,2	

სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვა განხორციელებულია მიზნების შესაბამისად. მიღებული თანხების ხარჯვის აუდიტით გამოვლინდა ხელშეკრულებების პირობების არაჯეროვნად შესრულების ფაქტები, რაც წარმოშობს ისეთ რისკებს, როგორებიცაა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გაწევა, თანხების არადანიშნულობისამებრ გამოყენება და ა.შ.

კერძოდ:

1. ხელშეკრულება N5085/1 (25.02.09). მიღება-ჩაბარების აქტი: N5085/1-1. მომწოდებელი: სს „ცენტროლიტი“. საგანი: ადმინისტრაციული შენობის შესყიდვა. ღირებულება: 300,0 ათასი ლარი. საფუძველი: მთავრობის განკარგულება N73 (10.02.09).

ვერ იქნა წარმოდგენილი ხელშეკრულების პირობების მე-4 პუნქტის 4.1 ქვეპუნქტით და მე-8 პუნქტით დადგენილი მოთხოვნების შესრულების დოკუმენტები, რაც არ იძლევა სათანადო მტკიცებულებას ხელშეკრულების საგნის ხარისხის შემოწმებისა და შესაბამისად დამატებითი ხარჯების გაწევის პრევენციის თაობაზე;¹⁹

2. მთავრობის განკარგულება N527 (24.07.09). მიზანი: დანიაში „სოციალურად გარიყულთა თამაშები - 2009“ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება. თანხა: 17 636 ლარი.

გამოყოფილი თანხიდან 12 047,40 ლარი გახარჯულია დელეგაციის წევრების ავიაბილეთების შეძენაზე, ხოლო 5 588,60 ლარი, მონაწილეობის მიღებისათვის ჩასატარებელი ღონისძიებების განსახორციელებლად გადაერიცხა აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციას (საფუძველი: ხელშეკრულება N2293/1, (11.08.09); სასაქონლო ზედნადები N11, (11.08.09)). სამინისტროს ბუღალტერიაში წარმოდგენილი დოკუმენტები არ პასუხობს მათი რეკვიზიტების შინაარსისა და სისრულის მოთხოვნებს. კერძოდ, არ იძლევა მტკიცებულებას

¹⁹ დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნები.

თანხის მიმღების მიერ მისი დანიშნულებისამებრ ხარჯვის შესახებ.²⁰ აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს საფინანსო დეპარტამენტმა მოიწვია ფედერაციის ბუღალტერი, რომელმაც წარმოადგინა ხარჯვის პირველადი დოკუმენტაცია. აუდიტით დადგინდა, რომ სამინისტროს მხრიდან ფაქტობრივად ადგილი ჰქონდა წინასწარ გადახდას, რაც უნდა განხორციელებულიყო შესაბამისი კანონქვემდებარე აქტის მოთხოვნათა დაცვით.²¹ გარდა ამისა, ფედერაციას ხარჯების გაწევისას წარმოეშვა 440 ლარის ოდენობის ეკონომია, რომელიც არ დაბრუნებულა სამინისტროს ანგარიშზე და შესაბამისად არც სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, აუდიტის მიმდინარეობისას, სამინისტრომ ფედერაციისაგან მოითხოვა, როგორც ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა, ასევე აღნიშნული თანხის დაბრუნება.²²

3. მთავრობის განკარგულება N742 (09.10.09), ცვლილება: მთავრობის განკარგულება N911 (24.11.09). მიზანი: დევილების 2009-20010 წლის ზამთრის პერიოდისათვის სათბობი შეშით უზრუნველყოფა. თანხა: 315,0 ათასი ლარი. ხელშეკრულებები: N2295/222 (05.11.09) და N2295/229 (17.12.09). მომწოდებელი: შპს „ბერმუხა-2003“.

ამ მიზნით 2009 წლის ნოემბერ-დეკემბერში, სულ გაწეულია 520,3 ათასი ლარის ხარჯი (მ.შ. 205,3 ათასი ლარი წარმოადგენს სამინისტროს ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებას). შეშის შესყიდვასთან დაკავშირებით მომწოდებელთან გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებულია, როგორც საქონლის ღირებულება, ასევე მისი რაოდენობაც. ამავდროულად, არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები ბენეფიციარებისათვის მისი აღნიშნული ჯამური მოცულობითა და თანაბარზომიერად გადაცემის თაობაზე. კერძოდ, მიღება-ჩაბარების აქტებში არ არის მითითებული გადაცემული შეშის მოცულობები და ღირებულება.

4. ანალოგიური მდგომარეობაა სამინისტროს ბიუჯეტიდან დაფინანსებულ შეშის დაკოტვრა-მიწოდების შესყიდვასთან დაკავშირებითაც²³ (იგივე მომწოდებელი). ამ მიმართულებით ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან (200,0 ათასი ლარი) 110,0 და 8,0 ათასი ლარის ანაზღაურება განხორციელებულია შესაბამისად 2009 წლის იანვარსა და მარტში²⁴.

1.4 გრანტების (ფულადი და სასაქონლო), ჰუმანიტარული დახმარებების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსავლების მიღების, აღრიცხვის და გამოყენების მდგომარეობა

საანგარიშო პერიოდში სამინისტროს დადებული ჰქონდა 3 საგრანტო ხელშეკრულება:

²⁰ დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ფინანსთა მინისტრის N1321 ბრძანებით (28.12.2007) დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-6 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების მოთხოვნები.

²¹ დარღვეულია ფინანსთა მინისტრის N1318 ბრძანებით (28.12.2007) დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა.

²² N01/01-25/3869 წერილი (26.03.2010)

²³ N2295/266 ხელშეკრულება (26.12.2008)

²⁴ საგადახდო მოთხოვნა N15

გრანტის დასახელება	დამტკიცებული	მიღებული	მიზანი
N08/SB/GEO/EM/130	1 102,1	1 102,1	
N09/AB/GEO/LS/400	139,5	139,5	-
N09/AB/GEO/CM/250	561,3	561,3	-
სულ	1 802,9	1 802,9	-

გრანტებთან დაკავშირებით წარმოდგენილია სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი მიმოწერა, რაც იძლევა საკმარის მტკიცებულებას, რომ გრანტის აღრიცხვა-გამოყენებისას შესრულებულია „სამინისტროებისა და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვისა და ხარჯვის წესით“ დადგენილი მოთხოვნები.²⁵

სამინისტროსა და დონორ ორგანიზაციას²⁶ შორის დადებული ხელშეკრულებების პირობები ითვალისწინებდა 500 აშშ დოლარზე მეტი ღირებულების შესყიდვების განხორციელებას სულ მცირე 3 კონკურენტუნარიანი შემოთავაზების განხილვის შემდგომ, ხოლო ნებისმიერი გამონაკლისის დაშვება უნდა დასაბუთებულიყო წერილობით. 6 შემთხვევაში დაშვებულია გამონაკლისი, რაზეც შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთება ვერ იქნა წარმოდგენილი.

გრანტების ფარგლებში განხორციელებული გადახდები:

2009 წელი	ათასი ლარი
შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება	1 237,2
მივლინებები	40,3
ოფისის ხარჯები	30,3
წარმომადგენლობითი ხარჯები	11,8
რბილი ინვენტარისა ხარჯები	6,7
ტრანსპორტის შენახვის ხარჯები	14,6
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	327,9
სოციალური უზრუნველყოფა	25,8
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,6
სულ	1 697,2

საგრანტო ხელშეკრულებების შეფასება, მისი ინდიკატორების მიხედვით, დღეის მდგომარეობით არ არის დასრულებული.

1.5 ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის კანონიერება

სამინისტროში ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება იწარმოება კომპიუტერული პროგრამის („ორის-მენეჯერი“) მეშვეობით.

სამინისტროს კვარტალური და წლიური ფინანსური ანგარიშგებები (ბალანსები) ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი აქვს ვადების დაცვით საბიუჯეტო ორგანიზაციათა ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების შესაბამისად²⁷.

²⁵ ფინანსთა მინისტრის N66 ბრძანება (05.02.2009)

²⁶ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი

²⁷ დამტკიცებულია ფინანსთა მინისტრის N364 ბრძანებით (16.04.2008)

2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება)

ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ:

2009 წელი		ათასი ლარი					
არაფინანსური აქტივი	საწყისი ნაშთი	მიღება			გასვლა		საბოლოო ნაშთი
		შესყიდვა	უსასყიდ	ნაკადები	ნაკადები	ცვეთა საქ.და მომსახ.	
შენობა- ნაგებობები	5 398,1	18 211,1				181,3	23 427,9
მანქანა- დანადგარები	937,7	66,5	146,7	23,2	1,3	163,7	1 009,1
სხვა ძირითადი აქტივები	99,6					10,0	89,6
სულ ძირითადი აქტივები	6 435,5	18 277,6	146,7	23,2	1,3		24 526,6

სამინისტროში არაფინანსური აქტივების შემოსავალში აღრიცხვა ხდება აქტივების შესყიდვისა და უსასყიდოდ მიღების ფორმით. შესყიდვის შემთხვევაში პროცედურები ხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ხოლო უსასყიდოდ მიღების შემთხვევაში - მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

არაფინანსური აქტივებით გადახდა შეადგენს 18 199,2 ათას ლარს, რის გამოც წლის ბოლოს ნაშთი 78,4 ათასი ლარით მეტია, რაც გამოწვეულია კრედიტორული დვალთანების წარმოშობით.

ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ:

დებეტი		კრედიტი		2 452 200
ნაშთი	წლის	ნაშთი	წლის	
დასაწყისისათვის	-	დასაწყისისათვის	-	
მომუშავეთა ანაზღაურება	2 564 416	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	66 492 510	
საქონელი და მომსახურება	23 855 523	შემოსავლები	239 469	
ცვეთა	355 036	მ.შ. გრანტები	205 123	
სუბსიდიები	26 522	სხვა შემოსავლები	34 346	
სოციალური უზრუნველყოფა	12 528 625	აქტივების უსასყიდოდ მიღება	194 165	
სხვა ხარჯები	10 045 187	მ.შ. ძირითადი აქტივების	134 556	
აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები	265 239	მატერიალური მარაგების	59 609	
ბიუჯეტის წინაშე სხვა	36 941	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები	286 020	
ვალდებულებები				
სადებეტო ბრუნვა	49 677 489	საკრედიტო ბრუნვა	67 212 164	
სულ ჯამი	49 677 489	სულ ჯამი	69 664 364	

სხვაობა საკრედიტო და სადებეტო ნაშთებს შორის შეადგენს 19 986 875 ლარს.

ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ ანგარიში მოიცავს 280,1 ათასი ლარის ოდენობით კრედიტორული დვალთანების („სხვა კრედიტორული დვალთანებები“) გადახდას.

შენიშვნა V- ვალდებულებების აღრიცხვა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების თანახმად, 2009 წლის 1 იანვრისათვის სამინისტროს ბალანსზე ირიცხებოდა 1 076 803 ლარის ოდენობის დებიტორული დავალიანება, რომელიც აუდიტის პერიოდის ბოლოსათვის შემცირდა 835 162 ლარით და შეადგინა 241 641 ლარი.

კრედიტორული დავალიანების აღრიცხული საწყისი ნაშთი შეადგენდა 5 159 464 ლარს, ხოლო წლის ბოლოს ნაშთი - 4 961 943 ლარს, საიდანაც 3 921 731 ლარის ოდენობის დავალიანებაზე ორგანიზაციულ ჭრილში ინფორმაციას სამინისტრო არ ფლობს.

უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წლის განმავლობაში დაიფარა წინა წელს წარმოშობილი და 280 088 ლარის კრედიტორული დავალიანება. ორგანიზაციულ ჭრილში კრედიტორული დავალიანების შესახებ წარმოდგენილი ცნობის მიხედვით, დაფარულია შემდეგი დავალიანებები:

2009 წელი	ლარი	
ორგანიზაცია	თანხა	წარმოშობის წელი
შპს „სპინი“	36 444	2008
შპს „მათეილ“	45 000	2008
სს „საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო კოლდინგი“	3 881	2008
შპს „სელმა“	192 167	2008
სულ	277 492	2008

ცნობაში არ არის დაფიქსირებული სამინისტროს იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს ვალდებულებების კლება 2 595 ლარის ოდენობით. აუდიტით დადგინდა, რომ აღნიშნული თანხა მთავრობის განკარგულების შესაბამისად²⁸ „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან გადანაწილებული იქნა „ვალდებულებების კლების“ მუხლში²⁹, თუმცა სამმართველოს (ტერიტორიული ორგანო) დავალიანება შესაბამის პერიოდში არ აღურიცხავს საკუთარ ბალანსზე.

მიუხედავად დავალიანების 280 088 ლარის ოდენობით დაფარვისა, მისმა ჯამურმა კლებამ შეადგინა 197 521 ლარი, რაც მიუთითებს 82 566 ლარის ოდენობის ახალი დავალიანების დაგროვებაზე, რასაც უნდა გამოაკლდეს 2 595 ლარი. 78 412 ლარი წარმოადგენს თანადაფინანსების თანხას (დღგ) და გამოწვეულია დევნილთათვის ქ.გორში სახლების მშენებლობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის დაგვიანებით წარმოდგენით, ხოლო 1 559 ლარიდან შპს „კომუნალური მეურნეობის“ მიმართ დავალიანება შეადგენს 40 ლარს; შრომის ანაზღაურების მუხლით - 49 ლარს; გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ სტატუსის მაძიებელთათვის გასაცემი თანხა - 375 ლარს; 2008 წელს სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობათა საქართველოს ცენტრის“ დავალიანება - 1 095 ლარს.

სამინისტროს 2008 წელს სააღსრულებო ბიუროს მიერ ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან ჩამოჭრილი თანხა 252,1 ათასი ლარის ოდენობით ბალანსზე ასახული აქვს აუდიტის პერიოდში, ხოლო 2009 წელს ჩამოჭრილი 14,7 ათასი ლარიდან ასახული აქვს 10,9 ათასი ლარი.

²⁸ განკარგულება N507 (14.07.2009)

²⁹ სამინისტროს N01/01-25/3758 წერილი (03.08.2009); ფინანსთა სამინისტროს N417 (04.08.2009) ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა.

ამდენად, სამინისტროს სისტემაში არსებობს რიგი აღურიცხავი ვალდებულებები, არ არის ჩატარებული ვალდებულებების სრულყოფილი ინვენტარიზაციები, არ განხორციელებულა ბალანსში ჩამოჭრილი თანხების დროული ასახვა, რაც გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების უტყუარობაზე³⁰.

მთავრობის განკარგულების³¹ შესაბამისად გამოცემული მინისტრის ბრძანების³² საფუძველზე შექმნილი კომისიის მიერ, გამოცხადებული იქნა პრესის საშუალებით და დაეგზავნათ წერილები სხვადასხვა ორგანიზაციებს, მათ წინაშე არსებული დავალიანებების აღიარებისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის ნუსხის 2008 წლის 1 ივლისამდე წარმოდგენის თაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში სამინისტრო დებდა პირობას, რომ დავალიანებების აღრიცხვა მოხდებოდა უიმედო ვალად.

დგინდება, რომ სამინისტროს ფინანსთა სამინისტროსთან კოორდინირებულად ჩატარებული აქვს აქტიური მუშაობა აღნიშნული საკითხის მოწესრიგებისათვის, მაგრამ ამ ღონისძიებებს შესაბამისი შედეგი არ მოუტანია.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საქართველოს მთავრობას შორის ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ დადებული შეთანხმების³³ საფუძველზე სამინისტროს გადმოეცა 300 ქვის (ბლოკი) სახლი, რომლის მშენებლობაშიც სამინისტრო მონაწილეობდა თანადაფინანსების სახით. შესრულებული სამუშაოების მიხედვით დასაფინანსებელ თანხად სამინისტრომ არ აღიარა 447,9 ათასი ლარი, რადგანაც 17,3 ათასი ლარის ხარჯი გაწეული იყო დოკუმენტის რატიფიცირებამდე, ხოლო 430,6 ათასი ლარის ხარჯი არ ჩაითვალა გაწეულად რატიფიცირებული დოკუმენტის შესაბამისად.

აუდიტის ობიექტისთვის მიცემული რეკომენდაციები:

- სამინისტრომ, შემდგომ საქმიანობაში, პერიოდულად უზრუნველყოს მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციების ჩატარება, ხოლო კრედიტორული დავალიანებების დაფარვისათვის, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით გატარდეს სათანადო ღონისძიებები;

- წინა პერიოდებში წარმოქმნილი დაუფარავი კრედიტორული დავალიანებები აღირიცხოს ბალანსის ფორმა №1-ის საცნობარო მუხლში;

- სასაქონლო მატერიალურ მარაგებთან დაკავშირებულ ოპერაციებზე მოხდეს უფლებამოვალეობათა განაწილება;

- ყველა მნიშვნელოვანი ოპერაციისათვის განხორციელდეს შიდა ინსტრუქციებისა და პროცედურების შემუშავება;

- მენეჯმენტმა უზრუნველყოს წინა რევიზია-შემოწმებებითა და აუდიტით გამოვლენილ ნაკლოვანებებზე დროული და ადექვატური რეაგირება;

³⁰ დარღვეულია საქართველოს პრეზიდენტის №70 ბრძანებულებით (06.02.1998) დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მე-13 და მე-14 მუხლების, მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის, 29-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტების მოთხოვნები.

³¹ N281 (21.06.2006) სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რიცხული კრედიტორული დავალიანების დაზუსტების ღონისძიებათა შესახებ“.

³² N92 (06.08.2007)

³³ NPOL 320. 10/8 SB 3 GTZ (11.05.1998 და 18.12.2008)

• სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნათა შესრულების მიზნით, სამინისტრომ შეიმუშავოს მონიტორინგის შესაბამისი პოლიტიკა.

აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობა და უფლებამოსილებანი

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აუდიტის ობიექტი უფლებამოსილია აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროს მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში, ქ.თბილისი ქეთევან წამებულის გამზირი №96.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქართველოს კონტროლის პალატის

უფროსი აუდიტორი

კახაბერ ძიმისტარიშვილი



14.05.2010

ხელმოწერა

თარიღი

მთავარი აუდიტორი

ტრისტან ბენაშვილი



14.05.2010

ხელმოწერა

თარიღი

აუდიტორი

ანტონ პარუნაშვილი



14.05.2010 წ.

ხელმოწერა

თარიღი

აუდიტორი

ნინო ბუხნიკაშვილი



14.05.2010.

ხელმოწერა

თარიღი